№ 269 დეკემბერი 21, ოთხშაბათი 1888 დეკემბერი 21, ოთხშაბათი № 269

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

„ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

— გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

„თეატრი“.

რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონის-ძიება, რომ გაზეთი უკეთესად ემსახურებოდეს თავისს საქმეს და გამოდიოდეს ყოველთვის თავისს დროზედ. ყოველ ნომერში იქნება უსათუოდ ერთი ან ორი სურათი.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, რედაქციის კანტორაში, ბანკის ქარვასლაში. წლიური ფასი „თეატრისა“ — 5 მან., ნახევარ წლიური 3 მ. ტფილისის გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція газеты „Театръ“.

„თეატრის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ ამ თვეის ოცში „ქედლის ქართული კალენდარი“ ჩარკვიანის მიერ გამოცემული.

წლიურ ხელის მომწერთ 1889 წელს გაეგზავნებათ საჩუქრად თამარ დედოფლის სურათი, ფერადის წამლებით ნახატი. სურათი იქნება სიგრძით ნახევარ ადლი და სიგანით ექვსი გოჯი.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ნებიერიძე.

ტფილისი, 20 დეკემბერი

სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების დაარსება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში დღეს გადაწყვეტილი საქმეა. ტფილისში მოსულია ამ მოკლე ხანში ქაღალდი ბ-ნ ფინანსთა მინისტრისა, რომელიც აუწყებს ბ-ნს მთავარ-მართებელს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მოწყალედ ინება ამიერ-კავკასიაში დაარსებულ იქმნას ხსენებულის ბანკების განყოფილებანი თანახმად მის ბრწყინვალების თ. დონდუკოვ-კორსაკოვის წარდგენილებისა. ხოლო სესხად გატანა ამ ბანკებიდამ ფულებისა შეუძლიანთ მარტო იმათ, ვისაც მამულები კანონიერად გამიჯნული ექმნებათ, რადგანაც გაუმიჯნავ მამულებზედ ეს ბანკები სესხს არ გასცემენო. რომ ამ ბანკების შემწეობით აქაურ თავად-აზნაურობას შველა და შემწეობა მიეცეს, საჭიროაო, იწერება თურმე ბ-ნი მინისტრი, რომ ამიერ-კავკასიაში აჩქარებულ და გაძლიერებულ იქმნას მამულების გამიჯვნაო. ამისათვის ბ-ნს ფინანსთა მინისტრს უცნობებია ბ-ნ იუსტიციის მინისტრისათვის, რომ 1889 წლის სახელმწიფო ხარჯთა აღრიცხვაში შეტანილ იქმნას ის ფულიც, რაც საჭიროა ამიერ-კავკასიის გასამიჯნავ საქმის აჩქარების და გაძლიერებისათვისაო.

რადგანაც ხსენებულ ბანკების მოქმედებისათვის საჭირონი არიან ცნობები იმის თაობაზედ თუ, — რა მდგომარეობაში არის აქაური მიწათ-მფლობელობა, რამოდენა ვალი აწევთ მამულებს სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებისა, რა გვარი მეურნეობაა აქ გავრცელებული და სხვა ამისთანა და რადგანაც ეს გვარი ცნობანი ძალიან ნაკლებადა აქვს სამინისტროსა და რაცა აქვს, ისიც ბუნდი და განუსაზღვრელია, ამიტომაც ბ-ნს ფინანსთა მინისტრს საჭიროდ დაუნახავს ეს ცნობანი შეკრებილ იქმნას. აქაურს მთავრობას მოსვლია მთელი სია იმ ცნობებისა, რომელნიც წინასწარ უნდა მოიკრიბოს და საცა ჯერ არს წარდგენილ იქმნას. დღეს ეს ხსენებული სახელმწიფო ბანკებისა ამაზედა სდგას ჩვენში.

ჩვენ ყოველ ამის გამგონს სიხარულის მეტი არა გვმართებს-რა. ხოლო ეს-კი უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკები ჩვენში სულ სხვა გარემოებით და სხვა წესით უნდა მოირთას, ვიდრე რუსეთშია. აქაური ადგილ-მამულობა, მეურნეობა, მოცემა და გაცემა სოფლის მეურნეობის მოსავლისა, რომელიც ერთად-ერთი წყაროა საადგილ-მამულო კრედიტის გადახდისათვის, ბევრში განსხვავებულია და თუ ამ განსხვავების მიუხედავად სახელმწიფო ბანკები დაიწყებენ ჩვენში მოქმედებას, სანატრელს შემწეობას ვერ აღმოუჩენენ ვერც თავად-აზნაურობას, ვერც გლეხობას. ამიტომაც, ჩვენის აზრით, ზოგიერთი რუსეთის წესი ამ ბანკებისა ჩვენში უნდა შეცვლილ იქმნას ადგილის გარემოების მიხედვითა და რომ ეს ცვლილებანი საბუთიანი და წინ-დახედულნი გამოდგნენ, საჭიროა ადგილის გარემოების კარგად მცოდნე კაცნი მიიწვიოს მთავრობამ და მათი აზრი, თუ სარჩიელი მოსმენილ და სახეში მიღებულ იქმნას. ესევე უნდა ითქვას გამიჯვნის საქმის თაობაზედაც.

გამიჯვნა ჩვენში დიდი ხანია არსებობს და ბევრს ჩვენში საქმეშივე აქვს დანახული, რა ნაკლი სდევს ამ საქმესა და რა სიკეთე მიუძღვის. ამ მხრით ადგილის მცოდნე კაცნი ბევრს საპრაქტიკო ცნობებს აუწყებენ მთავრობას, რომელიც დღეს ეგრე ძლიერ მოწადინებულია, რომ გამიჯვნის საქმემ ჩქარის ფეხით იაროს ჩვენში. რა აბრკოლებს ამ სიჩქარით სვლასა, ადგილის კაცებმა უფრო კარგად უნდა იცოდნენ, რადგანაც თითონ, ვითარცა გასამიჯნავ მამულების პატრონები, დღე უოველ ამ საქმეში არიან და დანახული უნდა ჰქონდეთ თითქმის ყოველივე მიზეზი ბრკოლებისა და დაყოვნებისა. მაინც და მაინც ადგილის მცოდნე კაცთა სარჩიელად მოწვევისაგან თუ არა მოგვემატება-რა, ხომ არა დაგვაკლდება-რა და ამიტომაც უამისობა სასურველი არ უნდა იყოს, ნამეტნავად იმისთანა საქმეში, რომელიც პირდაპირ ადგილის კაცთა დიდს ინტერესებს შეეხება.

## ახალი ამბავი

*** ზამთარმა ტფილისში მთელი თავისი ძალ-ღონე იჩინა. გუშინ სიცივე ავიდა 15 გრადუსამდე და მტკვარი ალაგ-ალაგ სრულიად შეჰკრა ყინულმა, რომელსაც ნახევარ არშინამდე სისქე აქვს. კალურინის ბორნის მახლობლად ყინული იმდენად მაგარი იყო, რომ 19 ამ თვეისას ცალიერი „პოვოსკები“ დადიოდნენ ზედ ყინულზე.

*** კვირას, 18 დეკემბერს, ვანქის ტაძარში, სომხეთა პატრიარქის მაკარის განკარგულებისამებრ, სომხეთა სამღვდელოებამ გადაიხადა წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის გრაფ მიხეილ ტარიელის ძის ლორის-მელი-

## ფელეტონი

### პირველი სიყვარული

მთავრის ასულისა *).

მე რომ ყოველივე წვრილმანი ამბავი გავიხსენო, რაც გერტრუდას ჩვენსა ყოფნის დროს მოჰხდა, ჩემს მეგობარს არა ერთი და ორი სტრიქონი გააწითლებდა ეხლა, როცა იგი უკვე დედაა ოთხის შვილისა და თავისის ქმრის შეოხებით მეფურს ცხოვრებაშია. სჯობს რამდენიმე ფურცელი ჩემის დღიურისა გამოვსტოვო და მკითხველს განვუზიარო მხოლოდ ის, რაც პირდაპირ შეეხება გერტრუდას პირველის სიყვარულის ამბავს.

უეჭველი იყო, რომ ვიღაც კუნოს ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა გერტრუდაზე. ეს არც საკვირველი იყო. თავისუფლად აღზრდილი და მშობლებისაგან განებივრებული გერტრუდა მეტის-მეტად იყო გატაცებული რომანტიულის ამბებით. პანსიონი მიეტოვებინა მხოლოდ იმ აზრით, რომ ეგება ცხოვრების ავი და კარგი და წიგნში ამონაკითხი თვით ცხოვრებაშივე გამოეცადნა. ეს განზრახვა ჰქონდა და თითქო განგებ შეჰხვდა ახალგაზდა ლამაზი კაცი. მეორე დღეს ვკითხეთ მამაჩემს, თუ ვინ და რა კაცია გრაფი კუნო ვიტერხანი. მამამ კარგა ხნის ფიქრს შემდეგ გვიპასუხა, რომ მაგ გვარის გრაფს არავის ვიცნობ და არც არავინ არის ჩვენშიო. მამიჩემის პასუხმა ერთი-ორად გააძლიერა ჩემი ეჭვი. მაგრამ მალე მოგვეცა შემთხვევა და ეს საარაკო გამოცანა გამოაშკარავდა. ერთს ახლო სოფელში ჩვენ გვქონდა კარგა ძალი მამული. მამაჩემმა გვითხრა, რომ დღეს უეჭველად უნდა წავიდე ტორგლოვში, ყანები უნდა ვნახო და მოველაპარაკო მოურავს, თუ როდის უნდა დაიწყოს მკაო. მე და გერტრუდამ ვსთხოვეთ ჩვენც თან წავეყვანეთ. მამაჩემი დასთანხმდა და ჩვენთვის ცალკე პატარა ეტლი შეაბმევინა. თითონა და მსახური-კი ცხენებით წამოვიდნენ. საშინლად გამხიარულდა გზაზე გერტრუდა: აგერ შევედით ტორგლოვის პირველს უბანში. გერტრუდა უცებ მომეკრა, მომხვია ხელები და წამჩურჩულა:

— დაინახე ისა? იმანაც მიცნო და თავი დამიკრა.

— ვინ დაინახე, რას ამბობ, გერტრუდა!

— ვინა-და გრაფი! აი ეხლა რომ კოხტა სახლს გამოვუარეთ, იმ სახლის ფანჯარაში იდგა.

ერიჰაა!! ეხლა-კი ნათლად მივხვდი, თუ ვინ იყო ვიღაც გრაფ კუნო ვიტერხანი! კოხტა სახლი სოფლის სკოლა იყო და ტყუილი გრაფი-კი მასწავლებელი. მე ჯერ არ ვიცნობდი მასწავლებელს, რადგან სულ ერთის თვეის მოსული იყო. მამაჩემი სკოლის მზრუნველი იყო და კარგადაც გაეცნო ახალი მასწავლებელი. მამა ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ ახალი მასწავლებელი ძალიან ლამაზი და პატიოსანი ყმაწვილი კაციაო! გერტრუდა! გერტრუდა! შენმა მშობლებმა რომ იცოდნენ, თუ ვინ ამოგირჩევია პირველის სიყვარულის საგნად? თუმცა ყველა გავიგე, მაინც გერტრუდას არა ვუთხარი-რა, მეშინოდა ცუდი ბოლო არ მოჰყოლოდა ამ არა-სასიამოვნო გამოაშკარავებას. აგერ მამაჩემმა გადუხვია გზას და შევიდა ჩვენის მოურავის ეზოში. ჩვენც მალე შევედით ეზოში და საჩქაროდ გადმოვედით ეტლიდამ. მამაჩემი და მოურავი წავიდნენ ყანების დასათვალიერებლად. მე და გერტრუდა მარტოკანი დავრჩით და იქვე ბაღჩაში შევედით. ეხლა-კი სწორედ ასლი დრო იყო მართალი მეთქვა გერტრუდასთვის, ამაზე კარგს დროს ვეღარც-კი შევესწრობოდი. მე ბევრი აღარ მიფიქრია და ვუთხარ, თუ ვინც იყო მისი გრაფი კუნო. ვუთხარ ეს და გადავეხვიე საკოცნელად, მინდოდა კოცნით გამექარვებინა ეს არა-სასიამოვნო ამბავი. გერტრუდამ უკან დაიხია და თავ-მოწონებით მითხრა:

— ჩემთვის სულ ერთია, გრაფია ჩემი გმირი, თუ უკანასკნელი სოფლის მასწავლებელი! განა მაგითი რა დაუშავდება, განა მაგით სილამაზე და მიმზიდველობა ჩამოეცალა? სრულიადაც არა! ჩემთვის სულ ერთია, ჩემის გმირის მამა უკანასკნელი გლეხია, თუ მდიდარი გრაფი? ეხლა მე იმასა გთხოვ, ელიზა, როგორმე მოვახერხოთ, რომ მასწავლებელს ცალკე დაველაპარაკოთ.

— მოიფიქრე, რას ამბობ, გერტრუდა?

— აქ საფიქრებელი არა არის-რა. მე უეჭველად უნდა დაველაპარაკო იმას. თუ შენ არ წამომყვები, გეფიცები პატიოსნებას, სწორედ იმის სახლს წინ, შინ ხომ დავბრუნდებით, ეტლიდამ გადმოვხტები. გეტრუდა გადამეხვია და ცრემლი გადმოსდინდა თვალიდგან. სწორედ ცუდ ყოფაში ჩამაგდო გერტრუდამ და სრულიად ვერა მომეფიქრა-რა, თუ როგორ შემესრულებინა მისი სურვილი. ილბალზე ამ გაჭირებიდამ გამომიხსნა თვით კუნოს მოსვლამ (ბოლოს შევიტყე, რომ მასწავლებელს კუნო რქმეოდა სახელად). იგი დარცხვენით მოგვიახლოვდა და მდაბლად მოგვცა სალამი. გეტრუდამ შენიშნა თუ არა, ზურგს უკან ამომეფარა და მაგრა მომხვია წელზედ ხელები. კუნო შორიახლო დადგა და კრძალვით დაიწყო:

— მე მეგონა აქ მამათქვენს ვნახავდი, რომ მომეთხოვა ბოდიში, მაგრამ რადგან იგი აქ არ არის, ნება მიბოძეთ პირდაპირ თქვენა გთხოვოთ მცირედის შეცდომის პატიება.

— ჩემი მეგობარი, მთავრის ასული, სრულიადაც არ არის თქვენზე გაჯავრებული, მოწყალეო ხელმწიფევ!

— მაშ მამათქვენიც, იმედია, მაპატიებს, რადგან მე სრულიად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ტყეში მარტო იქნებოდა თქვენი მეგობარი.

აქ ველარ შეიკავა თავი გერტრუდამ, გამიშო ხელები და მკაცრად ჰკითხა:

— მაშ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, იქნება არც-კი დაიჯერეთ, ჩემი სახელი და გვარი რომ გითხარით. განა მე მატყუარასა ვგევარ? საწყალი მასწავლებელი ისე არია ამ მოულოდნელმა კითხვამ, რომ კარგა სიჩუმის შემდეგ ლუღლუღით ძლივს-ღა მოახერხა ხმის ამოღება:

*) იხ. „ივერია“ № 268.

ქოეის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

*** გუშინ, ოცს დეკემბერს, მიხეილის ქუჩაზე, გ. ქართველიშვილის სახლს წინ, ცხენის რკინის გზის ვაგონმა გაიტანა პატარა ბავშვი. ყმაწვილი ძალიან დაშავებულია და საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის მართველობას განუზრახავს გაგზავნოს სემინარიის ერთი მასწავლებელთაგანი გორის სასულიერო სასწავლებლის სარევიზიოდ.

*** გუშინ, 21 დეკემბერს, დილით, პირველს გაკვეთილს შემდეგ, საშობაოდ დაითხოვეს სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის შეგირდები.

*** **ოზურგეთში** ამას წინად სცენის მოყვარეთა წარმოდგენა გამართეს წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ და ორმოცი მანეთი ფული უკვე შესწირეს ამ სკოლას. მმართველი ამ სკოლისა, ბ-ნი ერ. ნაკაშიძე, ჩვენის გაზეთის საშუალებით გულითადს მადლობას უცხადებს ოზურგეთის მცხოვრებთ: ქ-ნს ანნა ჰყონიას, ნინო ქიქოძისას, ე. თავდგირიძესას, კონა ნაკაშიძისას და ატატო ბებურიშვილის ასულს და ბ-ნთ უთურგაულს, დ. კალანდარიშვილს, ს. ფარეიშვილს, მ. მაჭავარიანს, ივ. არონიშიძეს და ალექსანდრე ხორბალაძეს, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ წარმოდგენაში.

*** მამა ტერ-ელიშე ტერ-სააკოვი, რომელმაც ამას წინად გორის საპყრობილესათვის წიგნთ-საკითხავი გამართა, გვწერს: კიდევ სასარგებლოდ გორის ტუსაღთა წიგნთ-საცავისა მიველე წიგნები სოლომონ გალუსტოვისაგან 1 ცალი, ზაქ. ტერ-სააკოვისაგან—1, ქ-ნ ნ. ტერ-სააკოვისაგან—1, ქ-ნ თინათინა ტერ-სააკოვისაგან—1, ქ-ნ ნინო ტერ-სააკოვისაგან—1, ისაკ ტერ-სააკოვისაგან—2, მასწავლებელ ივანე ტერ-სააკოვისაგან—3 და ტ. მამალაძესაგან ფულად ერთი მანეთი. ტფილისიდგან: ალალო თუთაევისაგან—16 წიგნი. ქ. ქუთაისიდგან: მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის წინამძღვარ დეკანოზ რაჟდენ გიგაუროვისაგან—100 და ლევან ანდ. ღულაძისაგან—17. ყველა ამ შემომწირველთ ვუძღვნი დიდს მადლობას ჩემის მხრით და პატიმართა მაგიერ!

*** **კავკავი:** 16 ამ თთვისას, ღამე, კავკავში, ტაძრის პირდაპირ, მდინარე თერგისკენ ჩასავალ ქუჩის პირზედ, დუქანში მოჰკლეს თვით მედუქნე მირზა და იმისი მოჯამაგირე. მეორე დღეს, დილის საათის ცხრაზედ, აცნობეს პოლიციას ეს საზარელი ამბავი. ათის ნახევარი იყო, რომ მოვიდა პოლიცია, ექიმი და გამომძიებელი. საზარელი სანახავი იყვნენ მოკლულები. მოჯამაგირეს თავზე უკანასკნელი ორმოცამდე ჭრილობა ჰქონდა ხანჯლით და ერთიც გულში; თვით მედუქნეს თავი ჰქონდა გაჩეხილი, მარცხენა მკლავი მოგდებინებული და მარჯვენა ხელიც გასხეპილი, ალბად ხელი შეეშველებინა საცოდავს ხანჯლისათვის. ეს მედუქნე კიდევ ჰსუნთქავდა და პოლიციამ მსწრაფლად სამკურნალოში გაჰგზავნა. დაჩეხილმა მედუქნემ დიდხანს ველარ გასძლო და საათ ნახევარს შემდეგ გარდაიცვალა... ავაზაკები დუქანში აღმოსავლეთის მხრივ ფანჯრიდგან გადასულიყვნენ და რაც ფული ჰქონოდა მედუქნეს შენახული პატენტისათვის, სულ წაეღოთ. შემდეგ დუქნის კარები გაეღოთ, გასულიყვნენ და კარები ღია დაეგდოთ. ამ შემაძრწუნებელ საქმის გამო ფიცხელი გამოძიება სწარმოებს და იმედიცა აქვსთ, რომ კავკავის პოლიციის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ჩხეიძე თავისებურად ყოველს ღონის-ძიებას იხმარს ავაზაკების აღმოსაჩენად...

*** **იქიდამვე:** წელს აქ ძლიერ ცივი და სუსხიანი ზამთარი დაიჭირა; შეშა ძლიერ გაძვირდა და სანოვაგე, რაც გარეშე სოფლიდგან შემოაქვთ, ძალიან აიწია ფასში.

*** რადგანაც ტფილისში დიდი სიცივეებია და ღარიბი ხალხი დიდად შეწუხებულია ზამთრისაგან, კავკასიის მთავარ-მართებელს, თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს, შეუწირავს ოთხასი მანეთი ფული ღარიბთა შესაწევრად. ამ ფულით, რომელიც უკვე ჩაუბარებიათ ტფილისის პოლიციის უფროსისათვის, უყიდნიათ ქვა-ნახშირი და ხის ნახშირი ღარიბთათვის დასარიგებლად. ამ მასალას დააწყებენ პოლიციის განყოფილებებში და ყოველ დღე დაურიგდებათ იმ ღარიბებს, რომლებსაც იცნობს პოლიცია („კავკაზი“).

*** გაზეთი „კავკაზი“ იუწყება, რომ გრაფ ლორის-მელიქოვის დედას, რომელიც ტფილისში სცხოვრებს, დეპეშით მიუწერია განსვენებულის მეუღლისათვის, რომ გრაფის გვამი ტფილისში ჩამოასვენონ დასამარხად.

## ქალაქის საბჭო

19 დეკემბერი

წაკითხულ იქმნა ჟურნალი წინა კრებისა. ჟურნალი უმთავრესად შეეხებ ოდაყორღანოვის მილის წყალის შესყიდვას. წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა თავ-მჯდომარემ ჰკითხა კრებას, ხომ არა არის-რა გასასწორებელი, ან ჩასამატებელი ამ ჟურნალშიო და თანაც დაუმატა, რომ სხვა გვარი შენიშვნები, თუ არ რედაქციული, ყორღანოვის წყალის შესახებ დღეს აღარ მიიღებაო.

ნიკოლაძე. მე მხოლოდ რედაქციული შენიშვნები მაქვს სათქმელი და ეს შენიშვნებიც შეეხება იმას, რომ თუ წინანდელი სხდომა, რომელისამე შეცდომით, ან მცირე უყურადღებობით, უკანონო იყო, ეხლავ გავასწოროთ შეცდომა, ვიდრე ხელი არ მოგვიწერია ჟურნალზე. მაგალითად, იქნება ან ჯეროვანი რიცხვი არ იყო ხმოსნებისა, ანუ კიდევ სხვა რამ გარემოება.

თავ-მჯდომარე. კანონიერება და უკანონობა კრებისა მთლად მოეთხოვება თავ-მჯდომარეს და ამიტომ, თუ რაიმე უკანონობა მოჰხდა, პასუხის-მგებელი სრულად თავ-მჯდომარეა. თქვენ მაგაზედ ნუ შესწუხდებით.

ბებუთოვი. მე უკანონობის შესახებ ცალკე წერილი შევადგინე და გთხოვთ წაიკითხოთ ეს წერილი.

თავ-მჯდომარის განკარგულებით ბ-ნმა მდივანმა წაიკითხა წერილი ხმ. ბებუთოვისა. წერილი ძალიან ვრცლად იყო შედგენილი. აზრი ამ წერილისა ის იყო, რომ იმ დღევანდელი კრება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, ამ ხმოსნის აზრით. პირველი უკანონობა იმაში გამოიხატა, რომ ხმოსანთა რიცხვი უნდა ყოფილიყო დებულების ძალით არა ნაკლებ 36 კაცისა, ნამდვილად-კი სულ 34 ხმოსანი იყო. როდესაც ქალაქი ჰყიდულობს და ან ჰყიდის რასმეს, გინდა ერთი არშინი მიწა იყოს, უთუოდ უნდა ჰქონდეს თანხმობა კრებისა, რომელიც 36 კაცისაგან მაინც უნდა შესდგებოდესო. აქ-კი მაგდენი ათასი თუმანი ფული იხარჯება და ხმოსანი-კი სულ ოც-და-თოთხმეტი იყო, მეტი არა. თავ-მჯდომარეს ნება არა ჰქონდა ასეთი საგანი განეხილა იმ კრებაზე. ეს დამცირებაა თვით-მართველობის აზრისა საზოგადოდ და ჩვენის ღირსებისა კერძოდ. გარდა ამისა მაგ გარდაწყვეტილებით ჩვენ სწორეთ თავი შევირცხვინეთ წინაშე ჩვენის ამომრჩეველებისა. როდესაც ადრევე კენჭი ჩამოვატარეთ, 20 ათას მანათის მიმცემიც არავინ გამოჩნდა და შემდეგ სხდომაზე-კი იგივე კრება დასთანხმდა 56 ათას მანათზე. ეს დიდი სირცხვილია ჩვენთვის და კიდეც ამიტომ ვეწინააღმდეგები მაგ გარდაწყვეტილებასაო.

თავ-მჯდომარე. ამ ჟურნალთან ერთად ხმ. ბებუთოვის ცალკე აზრიც გადაეცემა «გუბერნსკი პრისუტსტვიას», რომელმაც უნდა განიხილოს კანონიერება, თუ უკანონობა ჩვენის გადაწყვეტილებისა. თუ „გუბერნსკი პრისუტსტვია“ თავის თავად არ აღძრავდა საქმეს უკანონობის შესახებ, დღეს ბ-ნ ბებუთოვის წერილი დაეხმარება და მოაგონებს ამ საგანს.

ნიკოლაძე. მე სრულიად ვეთანხმები ხმ. ბებუთოვის წერილს და გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ საგანს, იმიტომ-რომ თუ შეცდომილება მოგვ[...]ვლია, ჩვენვე გავასწოროთ და ად[...]ნისტრაციას არ გავასწორებინოთ [...] რაც თვით-მართველობასაც ადვილ[...] შეუძლიან. ეხლა ისეც ალმაცრივ უ[...]რებენ თვით-მართველობის საქმეს [...] ამით კიდევ ჩვენ თითონ საბუთს ვაძლევთ ხელში.

თავ-მჯდომარე. მანდ შეცდომა არ არის-რა და გინდაც იყოს, ჟურნალის მოშლა შეუძლებელია. კენჭს ვერ გიყრით მაგ წინადადებაზე.

ნიკოლაძე. ძალიანაც შესაძლოა, ვიდრე ხელი არ მოგვიწერია. ეგ ყველგან მაგრეა და გთხოვთ კენჭი ჩამოატაროთ იმის შესახებ, რომ ეგ ჟურნალი მოიშალოს ერთიან და უკანონობა არავინ შეგვწამოს.

თამამშოვი, მ. ი. თუ მანდ უკანონობას დაინახავს „გუბერნსკი პრისუტსტვია“, იმის მეტი ვის რა ეთქმის, რომ ხმოსანთა რიცხვი კანონიერი არ იყოვო. მანდ სასირცხვილო და საძრახისი არა არის-რა!..

კაიდანოვი. ხმ. ბებუთოვი ჰფიქრობს, ვითომც დიდად შევირცხვინეთ თავი, რომ 20 ათას მანეთზე არ დავყაბულდით და 56 ათას მანათზე-კი დავთანხმდითო. მე მაგალითად იმიტომ არ მივეცი ხმა 20 ათას მანათზე, რომ ყორღანოვი აღარ მოგვეირიგებოდა. საქმე-კი მომწონს და ამიტომ სულაც დიდი ხარჯი არა მგონია 56 ათასი მანათი. აგრეთვე სხვები ჰფიქრობდნენ, როდესაც 56 ათასი მანათი არჩიეს.

ამითი გათავდა ეს საქმე. შემდეგ ბ-ნმა თავ-მჯდომარემ განუცხადა კრებას გარდაცვალება სახელოვანის მიხეილ ტარიელის ძის ლორის-მელიქოვისა, რომელიც ჩვენი ნამდვილი ამხანაგი იყო, როგორც ხმოსანი ჩვენის საბჭოსიო. განვუცხადოთ ჩვენი მწუხარება დედას და სახლობას ამ ჩინებულის სახელმწიფო კაცისას და გადავიხადოთ პანაშვიდიო. კრება ერთ-ხმად დასთანხმდა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** შალმელ-ლაკურის სიტყვამ, რომელიც ამას წინად და-

---

— გარწმუნებთ, თქვენო დიდებულებავ... მე... მე არ ვიცოდი.

— მაინც ვინ გეგონეთ?

— მე... ძლიერ დამნაშავე ვარ! მე... საშინლად მოვსტყუვდი...

— უეჭველია თქვენ არას დროს არ შეგხვედრიათ ტყეში მარტო მთავრის ასული, მერე უბილეთოდ! ეგ მართალია, რომ შეუძლებელია... მაგრამ მე მაინც უეჭველად უნდა შევიტყო, მოწყალეო ხელმწიფევ, ვინ გეგონეთ... მასწავლებელი საშინლად გაფითრდა... რამდენჯერმე დააპირა ხმის ამოღება, მაგრამ ენა როგორღაც არ ემორჩილებოდა. აბა, ბძანეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, და პირობას გაძლევთ არ გავჯავრდები, განუმეორა გერტრუდამ.

— მე... მე მეგონა ჰხუმრობდით, თქვენო დიდებულებავ! წელს ამ ახლო-მახლო სოფლებში მსახიობთა გუნდი მოგზაურობს... მე... იმათი აქტრისა მეგონეთ.

— რაკი სიტყვა მოგეცით, მეც აღარ ვჯავრობ, თუმცა-კი საბუთი მაქვს თქვენზე უკმაყოფილოდ ვიყო. კუნომ მდაბლად დაუკრა თავი და გატრიალდა თუ არა წასასვლელად, ეზოში შემოვიდა მამაჩემი.

— აჰ! კუნოს გაუმარჯოს! იქნება ჩემთან მოხვედი რაისამე საქმისათვის? კუნომ თავი დაუკრა.

— უეჭველია ჩემთან იქნებოდი. მე ეხლა არა მცალიან და, თუ შეიძლება, ხვალ ჩემთან სახლში ამოდი და იქ მოვილაპარაკოთ. ეხლა-კი ნახვამდე. აბა, ქალებო, წავიდეთ?

საჩქაროდ მოგვიმზადეს ეტლი და გამოვწიეთ შინისაკენ.

— მეტად მორცხვი ყოფილა და მგონი მშიშარაც უნდა იყოს, დაიწყო გერტრუდამ.

— არა, ჩემო კარგო! ეტყობა ყოვლად კეთილი და პატიოსანი კაცია და ამიტომ...

— სწორედ... სწორედ!.. აბა, ეხლა შენ იფიქრე, განა შემეძლო ეჭვი შემეტანა და ნამდვილად გრაფი არა მგონებოდა? ვითომ რითი იქნება მაგაზე უკეთესი გრაფი? მე უნებლიედ გამეცინა. აბა რა გაცინებს. თქვენ უეჭველია სხვა გვარად სჯით. საწყალი სოფლის მასწავლებელი განა შეიძლება კაცად ჩაითვალოსო? არა, ჩემო ელიზა, ეგ ხომ მეტის-მეტი იქნება.

— აბა, რად სცხარობ, გერტრუდა! ჩვენ სრულიად მაგ აზრისანი არცა ვართ და არც ვიქნებით. გერტრუდა როგორღაც მოიღრუბლა და შინამდე ხმა აღარ ამოუღია. მეორე დღეს დავსხედით თუ არა სადილზე, მამას მოახსენა მსახურმა, რომ მასწავლებელი მოვიდაო. მამამ შემოიპატიჟა სადილზე. მე მალულად გადავხედე გერტრუდას. იგი ჩასჩერებოდა თეფშს, თითქო ირგვლივ არა უნდა-რა დაინახოსო. კუნო მეტად წესიერად იქცეოდა სადილზე და ბოლოს და ბოლოს ენაც ამოიდგა. ლაპარაკი აწმყო მწერლობაზე ჩამოვარდა. კუნომ უბრალოდ და მარტივად განსაჯა საგანი, რითიც დაამტკიცა, რომ იგი კარგად არის ნაკითხი და შესაფერადაც აქვს შეგნებული მწერლობის აწმყო მდგომარეობა. ბოლოს კუნომ სთქვა, რომ ჩემის შეძლების დაგვარად მეც მცირე ბიბლიოთეკა შევიძინეო.

დედაჩემმა სთხოვა წიგნები და სამაგიეროდ აღუთქვა ჩვენის წიგნთ-საცავის წიგნების მიცემა. სადილს შემდეგ, გამოთხოვების დროს, კუნომ მოწიწებით აკოცა დედას ხელზე და საჩქაროდ გაეშურა შინისაკენ. ამ დღის შემდეგ ყოველ დღე მოდიოდა სტუმრად კუნო. ყოველთვის რაიმე პატივ-სადებ მიზეზს მოიგონებდა ხოლმე ჩვენსას მოსასვლელად. მე ნათლად ვხედავდი გერტრუდას ყოფას, ვგრძნობდი, თუ რა შედეგიც მოჰყვებოდა კუნოს ჩვენსას ხშირად სიარულს. დავაპირე კიდეც ყველაფერი მეთქვა დედისათვის, მაგრამ—ოხ, ღმერთო!—დავაბეზღო და ისიც ჩემი მეგობარი? არა, სიჩუმე ყველაზედ უკეთესია. ერთს დღეს ჩვეულებრივზე მეტი ხანი დარჩა ჩვენსას კუნო, რადგან სადილს შემდეგ საშინელი ნიაღვარი მოვიდა. კარგად შებინდდა, მინამ გამოიდარებდა. გადიდარა თუ არა, კუნო მოემზადა შინ წასასვლელად. მე და დედაჩემი რაღაც საოჯახო საქმეში გავერთენით. ასე გავიდა ნახევარი საათი, მინამ გამოვიდოდი სასტუმრო ოთახში. გერტრუდა არ დამხვდა აქ და პირდაპირ ჩვენს ოთახში შევედი. გერტრუდა არც იქ იყო... შემეშინდა, მშობლებმა არა შეიტყონ-რა-მეთქი, და ჩუმად გავედი ბაღჩაში. კარგა ხანს ვეძებე აქ, მაგრამ თავ-ბედისა ვერა გავიგე-რა. ახლა-კი მთლად მომწყდა წელი და ძლივ-ძლივობით-ღა ამოვედი სახლში. აქ ვუამბე ყველაფერი მშობლებს. მამამ მაშინვე ყველა მსახურები ფეხზე დააყენა. ზოგი ტყეში გაგზავნა, ზოგი სოფელ-მინდორში გერტრუდას საძებნელად. ერთი ბიჭიც სადგურზე გაგზავნა და თითონ-კი ცხენით ტორგლოვში წავიდა. ბიჭებს ერთი და იგივე პასუხი მოჰქონდათ—ვერსად ვერ ვიპოვეთ, არსადა სჩანსო... სწორედ სატანჯველში ჩამაგდო გერტრუდას უცებმა დაკარგვამ. საქმით რომ ვერას ვშველოდი, მივჯექ კუნჭულში და ცრემლით ვსცდილობდი გამექარვა დარდი. ოთახში ჩემს მეტი არავინ იყო. უცებ გაიჭრაჭუნა კარებმა... შეშინებული წამოვარდი, მეგონა გერტრუდა გაჩნდა სადმე-მეთქი მაგრამ საშინლად მოვსტყუვდი! ოთახში შემოვიდა მამას საყვარელი მეძებარი. მეძებრის დანახვამ მომაგონა, რომ იგი გერტრუდას საშინლად შეეჩვია. მოდი, ვცდი, იქნება გავხდე რასმე? ამოვიღე გერტრუდას ხელსახოცი, ვასუნებინე მეძებარს და ვანიშნე—ეძებე ხელსახოცის პატრონი-მეთქი. მეძებარმა მიირბინ-მოირბინა ოთახში და სწრაფად გავარდა გარეთ. ეზოში ბევრი ირბინა მეძებარმა და ბოლოს გავარდა ღობეს გარეთ. მეც თან გავყევ. აქ გზის პირას მდგომ სათიევსთან დადგა და დაიწყო ყეფა ძაღლმა. მე საჩქაროდ მივედი სათიევსთან. მივედი, მაგრამ შიშისაგან საშინლად შევკრელე და კინაღამ მეც იქვე გულ-შემოყრილი არ დავეცი. სათიევის ძირში გულ-შემოყრილი ეგდო გერტრუდა.

...ექდეთ შემოკლებით, დიდი ბასი ...ეწვია სენატში. ლეონ სეი სთქვა, ...ეგ სიტყვა უნდა დავბეჭდოთ და ...ვან გავავრცელოთ საფრანგეთ...ი. სენატორებმა დიდის აღტაცებით ...ეს შალმელ-ლაკურის სიტყვა და ...დხანს უკრეს ტაში ორატორს. პა...რა ხანს უკან ავიდა ტრიბუნაზე ...ოკე და დაიწყო ლაპარაკი. „ბა...ონებოვო,—სთქვა მთავარ-მინის...რმა:—ავადმყოფობა ნებას არ მა...ლევს ვრცელი სიტყვა წარმოვსთქვა. ...სთხოვ სენატს მომიტევოს და სა...ტიკად არ მომეპყრას. იმედია, ჩემს ...იხოვნას შეიწყნარებთ (ბრძანეთ, ...რძანეთ!). მოვალენიც-კი ბრძანდე...ით შემიწყნაროთ. ცოტა არ იყოს, ...ადლობელნიც უნდა იყოთ ჩემი, ...მიტომ-რომ მხოლოდ დღევანდე...ისთანა სამინისტრო თუ აიძულებდა ...ატივცემულს ორატორს უკუ-ეგდო ...ანგრძლივი დუმილი და წარმოეთ...ქვა სიტყვა, რომელიც საპატიო ად...გილს დაიჭერს საპოლიტიკო მჭევრ...მეტყველებაში. წარმოსთქვა ისიც ...ოდის? როცა საპარლამენტო ტრი...უნას შეურაცხ-ჰყოფენ და გაჯიბრე...ით ესხმიან თავს (აქა-იქ სცემენ ...აში). ბატონებო! მოგეხსენებათ, რომ ...აგ სიტყვის წინააღმდეგ ასე სახელ...ახელო ლაპარაკით ვერას გავაწყობ. ...მიტომ შევეკამათები მხოლოდ ზო...იერთს აზრსა და წინადადებას, შალ...მელ ლაკურისაგან წარმოთქმულს.

...იმისი სიტყვა რომ მოკლედ მო...ჭრათ—თუ-კი შესაძლოა საზოგა...ოდ მოკლედ მოიჭრას იმისთანა ...რცელი და მშვენიერი მჭევრ-მეტყვე...ება,—მხოლოდ სინანული და აღსა...ება შეგვრჩება ხელში. შალმელ ლა...ურმა სთქვა, რომ რესპუბლიკელები ...ლიან შორს წავიდნენ, თავიანთ აზ...ების და პროგრამის განხორციელე...ა სრულიად და სავსებით მოინდო...ეს, მეტად ბევრი დაჰხარჯეს ქვეყნის ...ერმოებისა და სწავლა-განათლების ...საძლიერებლად, მეტად აჰყვნენ პო...ლიტიკას გაზვიადებულის დაპირებისას ...ა ამ სახით ღვთის მოშიშს ერში გან...ფანტეს თესლი ჩივილისა და უკმა...ყოფილებისა, რომელმაც დღეს იჩინა თავი. აი ამას ჰქვიან სინანული. ორატორმა სთქვა მერე, რომ ერთი ღონეა აღვადგინოთ ის ყოფა, რომელსაც სარესპუბლიკო დასმა აზრი გაუტეხა და რადიკალების სითამამემ ხელიდამ გამოგვაცალა. შალმელ-ლაკურის აზრით, ეს ღონე ის არის, რომ რესპუბლიკას ნება აღარ უნდა მივცეთ წინ წავიდეს, უკან უნდა დავაბრუნოთ, უნდა შევსცვალოთ მიმართულება სარესპუბლიკო დასისა და დღეიდამ მივმართოთ მემარჯვენეებს, აღარ ვუგდოთ ყური მემარცხენეთაო (მემარჯვენენი და ზოგიერთი მემარცხენენიც ეწინააღმდეგებიან ფლოკეს). ეს გახლავთ სწორედ მოკლე თქმა იმისი, რაც განავრცელა შალმელ-ლაკურმა. (არა, არაო! იძახიან წელანდელებივე) თქვენ „არასა“ ბრძანებთ, ბატონებო, და ქვეყანა-კი „ჰოს“ იტყვის.

შალმელ-ლაკურმა სთქვა, რომ საჭიროა ხელი ავიღოთ აგიტაციისა და უნაყოფობის პოლიტიკაზედაო, რომლის წარმომადგენელია დღევანდელი კაბინეტი. ხელი ავიღოთ ამ პოლიტიკაზედ და თავი შევაფაროთ კეთილ-გონიერებასა და ერთს აზრზედ მტკიცედ დამყარებულს პოლიტიკასაო. ესეთი პოლიტიკა დაიხსნის მხოლოდ საფრანგეთსაო. მერე მიჰმართა კრების აი ამ ნაწილსა (ფლოკემ ხელი გაიწოდა მემარჯვენეთაკენ) და შესთხოვა, დაავალეთ თქვენს სულგრძელებას და დაიხსენით ქვეყანაო. შალმელლაკური ჰკიცხავდა სარესპუბლიკო დასის მოქმედებას ამ უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში; ჰკიცხავდა სასტიკად და გაზვიადებით; ვიტყვი კიდეც, რომ მეტად სამწუხარო გაზვიადებითა ჰკიცხავდა. სამწუხარო გაზვიადებითა-მეთქი რომ ვამბობ, იმიტომ ვამბობ, რომ მის მიერ წარმოდგენილი სავალალო სურათი საფრანგეთს დაალონებს, ძრიელ დაალონებს და საზღვარ-გარეთ კიდევ მტერს გაახარებს (სწორედ მართალსა ბრძანებთ!). დიდად პატივსა ვსცემ შალმელ-ლაკურის ნიჭსა და რესპუბლიკელობას, მაგრამ მაინც გავკადნიერდები და ვკითხავ: სადა ბრძანდებოდით, ბატონო, ამ ათის წლის განმავლობაში? რატომ ერთხელ მაინც არ აბრძანდით ტრიბუნაზე და არ ეცადეთ აგვეცილებინათ ის შეცდომანი, რისთვისაც ახლა ჰკიცხავთ რესპუბლიკას? (მემარცხენენი: გვიპასუხოს, გვიპასუხოს!). მე აი რას მოვახსენებ შალმელ-ლაკურს: ის, რაც თქვენ გნებავთ, დღევანდელს კაბინეტს არ შეუძლიან შეასრულოთ. როცა შალმელ-ლაკურმა ბრძანა, რომ ორიოდე გაზეთის მეტს არ მოუნდომნია საფრანგეთში მისი მოწოდება ქვეყნის მართვადაო, მგონია, დაავიწყდა, რომ მე რამდენჯერმე უარი ვსთქვი, არ მინდა სამინისტროს შედგენა-მეთქი. თუ ჰნებავს, ამასაც მოვაგონებ შალმელ-ლაკურს, რომ მე ვერავინ ვერ გამამტყუნებს, ვითომ სამინისტროებს მე ვამხობდი, ვერ გამამტყუნებს იმიტომ, რომ ყველა სამინისტროებს მხარს ვაძლევდი. მხარს ვაძლევდი უკანასკნელს სამინისტროსაც-კი.

ტირარი. მართალია, მართალი.

ფლოკე. თქვენ დაგავიწყდათ, ბატონო, როგორ შესდგა დღევანდელი კაბინეტი. ჩვენ გამონგრეულ კედელში-კი არ შევცვივნულვართ, რომ კვლავ გვებრძოლნა. არა, თავისუფლად გავიარეთ გარღვეული კედელი და თან წავიყვანეთ მთელი დასი რესპუბლიკელებისაცა, რათა ყველას საერთო საკეთილდღეოდ გვემუშავნა. პირველსავე დეკლარაციაში ვსთქვით, რომ სარესპუბლიკო უმეტესობაში ჩვენ არ გვეგულებიან მოწინააღმდეგენიო (მემარცხენეთ მოსწონთ ეს სიტყვა). მაგრამ მე იმასაც ვამტკიცებ, რომ იმ დეპუტატებს, რომელნიც მე დამეხმარნენ, ფიქრადაც არ მოსვლიათ შალმელ-ლაკურის მიერ წარმოდგენილი გაერთიანება დასებისა. ჩვენ გვინდოდა გაერთიანებისათვის მიგვეღწია მოთმინებითა და არა უარ-ყოფით. ამიტომ ჩვენ მრავალ გვარი პროექტები წარმოვადგინეთ საჭირო კანონებისა, ეხლა იმ ბედნიერებამდისაც-კი მივაღწიეთ, რომ ბიუჯეტი პალატაში არავითარს კამათობასა და ლაპარაკს არ იწვევს. კაბინეტმა ბევრ გვარი სასარგებლო კანონი შეაწყნარებინა პალატას. ერთის სიტყვით, ჩვენი პოლიტიკა სრულიად არა ჰგავნდა იმ ჯიუტს, ცას იქით სადგურის მაძიებელს პოლიტიკას, რომელსაც გვწამებს შალმელ-ლაკური. პატივცემულს სენატორს რომ დავუჯეროთ, უნდა ვიფიქროთ, რომ უთანხმოება და ბრძოლა დასთა შორის ისე დიდი და გაძლიერებული არას დროს არა ყოფილა, როგორც მას აქეთ, რაც ეხლანდელი კაბინეტი შეუდგა საქმეთა მართვას. ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ვითომ ჩვენ ვაძლიერებთ უწესოებასა და ანარქიას. ახირებული საყვედურია სწორედ! ტირარის წინად რომ სამინისტრო იყო, სამინისტრო რუვიესი, მაშინ არ მოხდა, რომ რესპუბლიკის თავი გამოსცვალეს? (ყველა ჰმღერვარებს და ფაცა-ფუცობს). შალმელ-ლაკურს ისიც ავიწყდება, რომ წინანდელ სამინისტროს დროს მოხდა ის არჩევანები (ვითომ ბულანჟე რომ აირჩიეს), რომელიც ფრიად წინააღმდეგი იყო რესპუბლიკის ინტერესებისათვისაც, უფლებისაცა და კანონიერებისათვისაც. ამით ის არ მინდა ვსთქვა, რომ დღევანდელს უწესოებაში ჩვენი მოწინავენი არიან-მეთქი დამნაშავენი. ის-კი, ცხადია, რომ მაშინ ის ვაჟბატონი, რომელზედაც მე ეხლა ველაპარაკობ, ჯერ ისევ ჯარში ჰმსახურობდა და, მაშასადამე, უფრო ადვილი იყო იმისი აღკვეთა. მას უკან, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ საფრანგეთის მდგომარეობა-კი არ გაუარესებულა, უფრო გამოკეთდა.

მერე ფლოკემ გაკვრით მოიხსენია: რომ მთავრობა კვლავაც სარესპუბლიკო უმეტესობას დაუგდებს ყურსაო, იმას დაემყარება და არა რომელსამე ცალკე დასსაო. მერე ფლოკე არჩევანების წესსზე მოჰყვა ლაპარაკს. მთავრობა დარწმუნდა, რომ ქვეყნის უმეტესობას ჰსურს კვლავ აღდგენილ იქმნას არჩევანები თემ-თემად და უარ-ჰყოფს სიებით არჩევანებსაო. „ამ ჟამადაო,—დაასკვნა ორატორმა,—376 გაზეთი პირველს წესს ჰქადაგებს არჩევანებისას და მხოლოდ 60 გაზეთი იძახის, ისევ სიებით იყოსო. ჩვენ ავდექით და უმრავლესობის სურვილის თანხმად მოვამზადეთ შესაბამი პროექტი. ასე იმიტომ-კი არ მოვიქეცით, რომ ჩვენი საკუთარი სარგებლობა გვქონდა ხეში, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანას ჰქონდეს შეძლება თავისი სთქვას და თავისი გააკეთოს. ჩვენ გვინდა მივცეთ ერს ხელში ისეთი იარაღი, რომ იმ იარაღით ებრძოლოს ტყუილ ქვეყნის მხსნელებსა (ისმის ტაშის ცემა).

ფლოკეს შემდეგ ლეონ სეი ილაპარაკა ცოტაოდენი და გამართლება დაუწყო შალმელ-ლაკურს. მერე ტოლენმა ჰკითხა ფლოკეს: „განზრახვა აქვს თუ არა სამინისტროს მიიღოს ყოველივე ღონის-ძიება, რომელიც-კი საჭიროა ყველასათვის ცხადის განსაცდელის ასაცილებლადაო? თუ ამ საქმისთვის საკმაოდ შეიარაღებულნი არა ხართ, გვითხარით პირდაპირ: სარესპუბლიკო დასი არ დაგიჭერთ და მოგცემთ საჭირო თოფ-იარაღსაო“, სთქვა ორატორმა. ფლოკემ უპასუხა, რომ მთავრობა კანონებს შეასრულებს, ხოლო, თუ კანონებმაც ვერ გასჭრა, მოვითხოვთ, რომ ისეთი დამატებანი გამოიცეს, რომელთაც საჭიროდ დავინახავთო.

## წვრილი ამბები

რესპუბლიკის პრეზიდენტს 2 დეკემბერს უეცრად, მხოლოდ გენერალ ბრიუგერისა და პოლიციის პრეფექტის ლოზეს თანხლებით, დაუთვალიერებია უშველებელი სახელოსნოები des Immeubles-Industriels-ის ქუჩაზედ. ამ სახელოსნოებში 4,000 კაცი ჰმუშაობს. კარნოს ურადღებით გაუსინჯავს ყველა სამუშაოები და მომუშავეთა სადგომები. ამასობაში თითონ ხელოსნებს შეუტყვიათ პრეზიდენტის მისვლის ამბავი, აუვსიათ ქუჩები და დიდის ვაშა-ვაშითა მიჰგებებიან სახელმწიფოს მეთაურს. ვაშა-ვაშა უფრო გაძლიერებულა, როცა კარნოს მომუშავეთა მეთაურ ბ-ნ პიოსათვის საპატიო ლეგიონის ჯვარი ჩამოუკიდნია და ცრემლ-მორეულ მოხუცისათვის ხელის ჩამორთმევის შემდეგ უთქვამს, რომ თქვენის ხელის ჩამორ-

---

...მს კიოლზე გამოცვივდნენ დედა, ...ახური გოგო და ორი ბიჭი. ხელ...ხელ შევიტანეთ გერტრუდა ოთახ...ი და ლოგინში ჩავაწვინეთ. დედამ ...ჩქაროდ პიტნის ჩაი მოადუღა, ძა...ლად დაალევინა გერტრუდას და კარ...ი თბილად დაჰხურა. გერტრუდას ...ესქდა ოფლი და ტკბილად ჩაეძინა. ...სწორედ ამ დროს მეორე ოთახიდგან ...შემომესმა მამიჩემის ხმა:

— სად დაკარგულხარ! მეც გამატყუეს და ამ შუაღამისას ტორგლოში გამაგდეს.

— რა იყო, დაჩუმდი, სძინავს, უთხრა ნელის ხმით დედამ.

— როგორ თუ სძინავს? მერე სად ...ოვეთ?

— გარეთ, სათივის ქვეშ იყო?

— სათივის ქვეშ? მე-კი საწყალი კა...ი შევაწუხე. იმას ტკბილად ეძინა, ...უვარდი ოთახში, გავაღვიძე და ვი...თხე გერტრუდა. იმას სრულიადაც ...ი უნახავს წასვლის დროს... ჯვარ...ა და ხატებზე დავიფიცავ, რომ კუ...ას გერტრუდა სრულიადაც არ ...უყვარს. ამ ლაპარაკში ექიმიც მოვი...ა. ნახა ავადმყოფი და რადგან სა...შიში არა სჭირდა-რა, უთხრა დედას, ...რომ ამას ოფლისა და ძილის მეტი ...ა უნდა-რაო, და გაეშურა ისევ შინისაკენ. დედას საშინლად გაუხარდა, მომიახლოვდა, მაკოცა და ჩუმად მითხრა:

— შვილო, არა გამოაღვიძო! შენც ფრთხილად იყავ, იქნება მოინდომოს რამე.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, დედი!

მეორე დილით მე ისევ მაგარ ძილში ვიყავ, როცა გერტრუდას გამოჰღვიძებოდა. გერტრუდას კოცნა-ალერსმა მეც გამომაღვიძა.

— ელიზა, ელიზა, რას არ გამოსცდის ადამიანი სიცოცხლეში! ვინ იცის, რა არ იფიქრეთ გუშინ ჩემზე... მაგრამ ეხლა ყველაფერი გათავდა. ეხლა მე წინანდელი გერტრუდა ვარ... იქნება გიკვირს, ელიზა, ჩემი ლაპარაკი, მაგრამ მინამ წავალ, უნდა ყველაფერი გიამბო. მე დღესვე უეჭველად უნდა წავიდე... შენ ჩემის წასვლის შემდეგ შეგიძლიან უამბო ჩემი ამბავი შენს მშობელს. მე უჭკუო ვიყავ! მე იგი შემიყვარდა და იმას-კი სრულიად არ ვუყვარვარ; არა, ვუყვარვარ-კი არა, მცირედაც არ ეხსომებივარ. მე მეგონა მხოლოდ ჩემის გულისათვის დაიწყო ასე ხშირად თქვენსა სიარული და სწორედ გაკვირვებული ვიყავ, რომ რიგიანად ხმასაც არა მცემდა... მე-კი საშინლად მინდოდა დამერწმუნებინა, რომ მომწონდა და მიყვარდა. არ ვიცოდი, როგორ მომეხერხებინა ეს და მოთმინებას გადასულმა განვიზრახე ამისი აღსრულება გუშინ... მე იმაზე წინ გაველი გარეთ... ვიფიქრე: იქ მოვუცდიდინებ და, რომ გამოივლის, შევაყენებ და ყველაფერს ვეტყვი-მეთქი. მე ამოვეფარე სათივეს. გავიდა კარგა ხანი. მომესმა ფეხის ხმა და გამოვიხედე. გამოვიხედე და წელ-მოწყვეტილი დავეშვი ძირს. იგი მარტო არ იყო. იცი ვინ მოსდევდა? თქვენი მსახური გოგო ლინა. მერე იცი რას ლაპარაკობდნენ? ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ და არჩევდნენ, თუ როდის მოეხდინათ ჯვარის წერა. ხანგრძლივის კოცნის შემდეგ გაშორდნენ ერთმანეთს. ამის მეტი აღარა გამიგია-რა, გულს შემომეყარა და თქვენც მიპოვეთ! კარგი კიდევ, რომ ცოცხალი გადავრჩი! სჩანს უბედურს სიყვარულს არ შესძლებია ასე მალე ადამიანის გატეხა. ეხლა ჩემი ცდა ის-ღა იქნება, რომ პირველის სიყვარულისაგან დაქანცული გული გავიმთელო. ვგრძნობ, რომ ადვილი არ არის, მაგრამ რა ვუყოთ. ეხლა-კი ადექი, გენაცვალე, მიშველე ბარგი ჩავალაგოთ და უთხარ შენს მშობლებს, რომ თქვენი შემწუხებელი სტუმარი დღესვე მიდის-თქო... მხოლოდ არ-კი უთხრა, თუ რად... ადექი, ჩემო ძვირფასო. მე საჩქაროდ ავდექი და აღვასრულე თხოვნა გერტრუდასი. ეტლი მზად გახლავსთო, გვითხრა მსახურმა. მე და გერტრუდა გამოვედით ჩემის მშობლების ოთახში. გერტრუდამ დიდი მადლობა გადაუხადა მასპინძლობისათვის და სთხოვა ნება მიეცათ ჩემთვის სადგურამდე გამეცილებინა. მშობლებმა ნება დამრთეს და მე და გერტრუდა გავუდექით გზას. გზაში ტყის მახლობლად გერტრუდამ მანიშნა ალაგი, მითხრა: აი იქ... და ჩამოჰვარდა ცრემლი. მე მაშინადვე მივხვდი, თუ რად მანიშნა ეს ადგილი. სადგურზე გამოთხოვების დროს გერტრუდამ მთხოვა:

— მოიკითხე ის და უთხარ ლინას, რომ მიანიჭოს ყოველივე ბედნიერება.

მოისმა ზარის ხმა. გერტრუდა გადამეხვია:

— მშვიდობით, ჩემო ელიზა, არა, ნახვამდეო, მითხრა და გაეშურა ვაგონისაკენ.

ასე დასრულდა ჩემის მეგობრის მთავრის ასულის ყოფნა ჩვენსა და ამასთან ერთად იმისი პირველი სიყვარულიც. გერტრუდამ მაინც არ დაგვივიწყა. პირველში ძლიერ მოკლე წერილებს მწერდა. ბოლოს მივიღე ვრცელი წერილი და შევიტყე, რომ პირველის სიყვარულით გატაცებული ბუნება დასცხრომოდა და სახსოვრად მხოლოდ იმისი მოგონება-ღა შერჩენოდა.

მეც მივწერე, რომ კუნომ უკვე დაიწერა ჯვარი ლინაზე და ბედნიერად სცხოვრებენ-მეთქი. ამ წერილის მიღების უმალ გერტრუდას გამოეგზავნა ბრილიანტის სამაჯური, ბეჭედი და საყურეები კუნოს ცოლისათვის და თვით კუნოსათვის რამდენიმე ახალი წიგნი ოქროს ვარაყიანის ზედ-წარწერით: „ტყის პატარა მთავრის ასულისაგან“.

—

გერტრუდა უკვე დედაა ოთხის შვილისა. საუცხოვო ლამაზი ჭაბუკი მთავარი ჰყავს ქმრად. რამდენისამე წლის შემდეგ ვნახე იგი და მოვაგონე პირველის სიყვარულის ამბავი. გერტრუდამ თავისებურის სიამაყით მიპასუხა:

— სწორედ გითხრა, ჩემო მეგობარო, დღესაც მზადა ვარ რაც-კი შემიძლიან მივცე, რომ შესაძლებელი იყოს ის ნეტარი დრო პირველის სიყვარულისა კვლავ გამოვცადო.

ი. გახელი

თმგვით გამსურობ და სასჯაროდ გსცემ პატივს თქვენს ხანგრძლივს შრომასა და პატიოსანს ცხოვრებასსა. წასვლისას კარნოს უბრძანებია გენერალ ბრიუყერისათვის, რომ რკინის გზაზე მომუშავეთ 600 მან. დაურიგეთო. „Figaro“-ს გაუგონია, რომ პრეზიდენტს განზრახვა აქვს დაიაროს ასე რამდენიმე ადგილი, საჩუქრები დაურიგოს და ამ საჩუქრებზედ დაჭხარჯოს სულ, რაც-კი სახელმწიფოსაგან ჯილდოდ ეძლევაო.

— ბერლინის ქსენონს „Charité“-ს გარდაცვლილა ამას წინად რმით მოკაჭრე ტაბერტი, მეტად ჯან-საღი უმაწვილი კაცი, არა უმეტეს 30 წლისა, რომელსაც ლურსმნის დაკვრის დროს ხელი გაუფხაჭნია და გაფხაჭნილს რკინის ჟანგი მოჭხვედრია. სადამო ხანზედ ისე გასძნელებია საქმე, რომ საბრალოს სისხლი მოსწამლია და ქსენონში გარდაცვლილა.

— ამერიკის შტატს ნიუ-ჯერსეიში ახალი ქალაქი გაუშენებიათ, Paistey-ს სახელ-წოდებით. ეს ქალაქი სულ ორის საათის მანძილზეა ნიუ-იორკიდგან. ამბობენ, რომ ამ ახლად გაშენებულ ქალაქის ჭავა არაფრით ჩამოუვარდება ნიცოსასაო. ამ სამის თვის წინად ეს ადგილი უტეხს ტყეს წარმოადგენდა, ეხლა-კი ქუჩები დაუგეგმიათ, აუშენებიათ რამდენიმე სასტუმრო და დიდ-ძალი სადგომი შენობები. უმეტესი ადგილი ამ ქალაქისა ფრანგებს უყიდნიათ.

— ნიუ-იორკში ამ ჟამად ორი უშველებელი სახლი შენდება თურმე, რომელთაგანიც ერთი თხუთმეტ-სართულიანი უნდა იყოს. ამ შენობის სიმაგრისათვის, რასაკვირველია, განსაკუთრებული ხერხიც უხმარიათ შენებისა. პირველი ხუთი სართული რკინისა იქნება თურმე, ხოლო დანარჩენი აგურისა. მთელი ეს შენობა 450,000 მანათი უნდა დაჯდეს. მეორე დიდი შენობა ამერიკის ბანკისათვის შენდება და ათ-სართულიანი უნდა იყოს. პირველი ორი სართული ხავსისა უნდა იყოს, რვა ინდოეთის აგურისა. მთელი ეს შენობა 800,000 მანათი უნდა დაჯდეს.

— Bombay Gazette სწერს, რომ ამას წინად ინდოეთის ქალაქ მგოუს მკვიდრნი მეტად აღშფოთებულნი იყვნენ არა-ჩვეულებრივის სანახავით. ეს სანახავი ისა ყოფილა, რომ დაუსჯიათ უშველებელი სპილო 92 წლისა. მთავრობას ამ სპილოს დასჯა იმიტომ გადაუწყვეტია, რომ დიდ-ძალი დანაშაული ჩაუდენია. სპილო დიდი ხანია თურმე ურიგოდ იქცეოდა, ანჩხლი იყო და ამ ორის წლის წინადაც ერთი პუნის მცხოვრები მოჰკლა. არა მუშაობდა თურმე და ყოველთვის ბრაზიანდებოდა. ბოლოს გადაუწყვეტიათ იმისი დახვრეტა. მაჰარაჯა გოლკარანდასა და რაჯა ინდარის უფუამდგომელნიათ მთავრობის წინაშე ნუ დასჯით, ჩვენ გამოვისყიდითო და ერთს მათგანს სამაგიეროდ სხვა სპილოც უძლევია. ხოლო ინდოეთის მთავრობა არ დათანხმებულა და გადაუწყვეტია, რომ დამნაშავემ სიკვდილით უნდა გამოისყიდოს თავისი ცოდვებიო. დანიშნულ დღეს დასჯისას დიდ-ძალს ხალხს მოუყრია თავი და შებორკილებული დამნაშავეც მიუყვანიათ დანიშნულს ადგილს. სპილო დაუყენებიათ ორს დიდს ხეს შუა და დაუბამთ. თოფი თორმეტს კაცს უსროლია. როცა სროლა დაუწყიათ, სპილო წოლილა და მერე ისევ ფეხზე წამოუწევია. სამი ტყვია მოჰხვედრია პირველში, ერთი ხორთუმს, მაგრამ სპილოს ყურიც არ შეუბღერტია, არაფ შეუშინდა. სპილო სრულიად წამოდგარა და თავისა და ხორთუმის ქნევა დაუწყია. დასასრულ ერთს ტყვია მოუხვედრებია შუბლში, თვალების ცოტა ქვემოდგან, და ეს უშველებელი პირუტყვი უსულოდ დაცემულა დედამიწაზედ.

## დეპეშა

20 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომ ყოველ წლივ 17 ოქტომბერს დღეობა დაწესდეს ეკკლესიის მიერ მოსაგონებლად მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცის სასწაულებრივ გადარჩენისა უავგუსტოესის სახლობითურთ.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი იუწყება, რომ გამოჩენილი საფრანგეთის მოგზაური აზიაში მარტენი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, მიდის სამოგზაუროდ შუაგულ ჩინეთსა და აღმოსავლეთ ტიბეტში, მერე მიცვალებულის პრჟევალსკის მარშრუტისამებრ, მონღოლიას გაივლის, შემდეგ ციმბირსა და დაბრუნდება რუსეთში. მარტენი მიღებულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორისაგან, საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოება და აფიცრები უფროსის შტაბისანი დაჰპირებიან შემწეობასა და იმედიც უნდა ჰქონდეს ფულით შეელისა იმ გარეშე პირთაგან, ვინც თანაუგრძნობს მარტენის მიერ განზრახულ ექსპედიციასა.

«Новое Время» იუწყება, რომ განკარგულებაა მოხდენილი შესდგეს საბარგულო კადრის ბატალიონები, თითო ბატალიონი უნდა იყოს თეითეეული ოთხის როტისაგან. სულ ხუთი ბატალიონი უნდა იყოს თერამეტის როტითა, რომელნიც ომის დროს თერამეტ ბატალიონად გადაიქცევიან.

პეტერბურგის ბირჟა, 16 დეკემბ.

| | მოთხოვნილი | გამოცვლილი | გასაყიდი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 72 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $154^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | $270^1/_2$ |
| —მეორისა | | — „ | 24462 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

21 დღე ოთხშაბათი. წმ. პეტრესი. კათოლ. მოციქ. თომასი და ნაზარიასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-30 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41. სალამოს 8 საათზედ დაბადება მთვარისა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
„ პური 1-ის ხარისხისა. . $3^1/_2$ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ $3^1/_2$ „
ჯვარის მამის პურის ლავაში „
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . 8 „
„ 2 „ 7 „

## განცხადებანი


გორის სასულიერო სასწავლებლისაგან.

გამგეობას

ჰსურს გასცეს იჯარით რამდენისამე წლით ის შენობა, რომელშიაც ეხლა იმყოფება სასულიერო სასწავლებელი; ამ შენობას აქვს ეზო, ორი სამზარეულო და თერთმეტიც ოთახი. მსურველთ შეუძლიანთ განცხადება სურვილისა და პირობების შესახებ წარმოადგინონ სასწავლებლის გამგეობაში, რომელიც გარდასცემს იმ განცხადებებს სამღვდელოების კრებას, დანიშნულს 1889 წლის 25 თიბათთვისას. იჯარით გაიცემა მომავალის წლის ენკენისთთვიდამ. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება ბ-ნ ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

პირუტყვების ამბები,

გამოცემული გ. ტატიშვილის მიერ. ფასი 25 კაპ. (5—4)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

მამული ვორონოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—24)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 25 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ბ. კვიცარიძისა | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 თთვით . . . 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . 9 „ 50 „ | | 5 » . . . 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . 8 „ 75 „ | | 4 » . . . 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . 8 „ — „ | | 3 » . . . 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . 7 „ 25 „ | | 2 » . . . 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . 6 „ 50 „ | | 1 » . . . 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

წელიწადი II. წელიწადი II.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო გ ა ზ ე თ ი

მეურნე

გამოდის კვირაში ერთხელ

გაზეთი „მეურნე“ მომავალ 1889 წ. გამოიცემა იმავე პროგრამით და სივრცით, როგორც ამ 1888 წ.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი

| თბილისში | | თბილისს გარეშე |
|---|---|---|
| 1 წლისა — — 4 მან. | | 1 წლისა — — 5 მან. |
| ½ — — — 2 მან. 50 კ. | | ½ — — — 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ, და 20 კაპ. პირველ გვერდზედ. გ ა ზ ე თ ი ს დ ა კ ვ ე თ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში, ჩარკვიანის მაღაზიაში და თვით რედაქციაში: რეუტის ქუჩა, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ თვით რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію „Мэурнэ“.

იაფად გასყიდვა საქონლისა

მხოლოდ ახალ-წლამდე

ცენტრალურს საგალანტერეო მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სახლი ზუბალოვისა, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: ლამპრები, ფარნები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ჭურჭელი, სუფრის სამკაული და ნავთით საჭმლის მოსახარშავი, აგრეთვე საცვალი, ფუფეიკები, ჩულქები, ხელსახოცები, სუფრები, სალფეტკები, ფეხთ-საცმელი, შლიაპები, კორსეტები, კასინკები, ქერსეები და სხვანი. ბევრია აგრეთვე ყმაწვილების სათამაშოები, თოჯები და ალბომები. (11—5)


Доз. ценз. Тифлисъ 20-го Декабря 1888 года. სტამბა გ. მესხის. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე